

1978/2

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



1978 თაზარჰალი N2

საბავშვო ჟურნალი

სათეზეკვლო

ავთნადილ მებრალიშვილი

თებერვალმა — ბრიალა
დროშა აგვიფრიალა,
სინხარულით აგვიგესო
ყველას — გულის ფიალა.





ჩივივაჟობა

რეზა იმანიშვილი

თებერვალში, სეკებს რომ კოკრები დაე-
ბერა, მართა ბებომ და მისმა შვილიშვილმა
გუგულიმ ჩიტის ფაფა გააკეთეს.

ადრე ადგნენ, ვერ ისევ ბინდბუნდში,
ღუძელი გაასურეს, ზედ ჰატარა ქვებით წვა-
ლი შემოდგეს.

ის წვალი ადღვდა, ჩაურეს შიკ სორბ-
ლის ბურღული, ხის კოვჩით მოურთეს. ხან
ბებო ურეგდა, ხან—გუგული, ცოტა ხნითაც
კი რომ არ მოერიათ, ფაფა ბრასობდა და
ცხელ წინწკლებს ისროდა.

ბურღული რომ მოიხარბა, მარილიც
შეუზაგეს, დაიკეპოვნეს კიდევ. ბებოამც დაი-
კეპოვნა, გუგულიამც. ბებომ თქვა:—კარ-
გიაო. გუგულიამც მოეწონა:—მშვენიერიაო.
განჯინიდან ქაშანურის ევითელი ქილა

ჩამოდგეს. ქილიდან თეფშე ერბო. გადმოი-
ღეს. ბებომ ავაღთავებულ წინსაფარში წი-
ნადღეს მომხარაკებული ბრტყელ-ბრტყელი,
სუფთა ნაფოტები ჩაიწყო. თბილად ჩაიც-
ვეს, თავმლებიც მოიხვიეს, ბებომ ქვები
აიღო, გუგულიმ—თეფში. ჩაბურესებულ
ბაღში ჩავიდნენ, ქვებაც ძირს დადგეს, გა-
ეინულ მიწაზე, თეფშიც, თვითონაც ჩაცუნქ-
დნენ.

ბებომ წინსაფრიდან ნაფოტი ამოიღო,
იმ ნაფოტზე ხის კოვჩით ფაფა დადო, გუ-
გულიმ ფაფა ჩაის კოვჩით ამოაღრმავა,
ამოაღრმავებულში ერბოს ჩიქი ჩაუღო. აი-
ღეს ნაფოტი, ხეზე შედგეს, ტოტსა და ტოტს
ძორის გაბამერეს, ნიავს რომ არ ჩამოეც-
დო.

ბებომ თქვა:—მიირთვით და ისიამოვ-
ნეთო!

გუგულიამც გაიმეორა:—მიირთვით და
ისიამოვნეთო!

ხმატები რუსულან ყარაგურასი

08757

ქ. შავშიის ს. ა. გ. წმ.
საბავშვო ჟურნალი
ბიბლიოთეკა



ამოიღო ბებომ მკორე ნაფოტი, იმასვე დადევ ფაფა, იმასაც ჩაუდევ ერბოს ჩიქი, ისიც სეხე შედევ.

სანამ ფაფა სულ არ გათავდა, სულ ასე, ნაფოტებზე დუბდენ, ერბოს უდებდენ, სე-ებზე არიკებდენ და თან ამბობდენ:—მი-ირთვით და ისამოვნეთო!

ქვები რომ მოასუფთავეს, ბებომ კიდევ ერთი რამ თქვა:

— არ დაგვემღუროთ, რაც გეპონდა, ის მოგართვითო!

გუგუელიმ ეს სიტყვებიც კადმოვარა, თა-ნაც თავდასრილმა, სულელებამლილმა.

წაიღეს ცარიელი ქვები და თუფში, ავიღ-ნენ სასლში.

გუგულის ხელები დაჭბუსოდა, მესინვე დუშელთან მიიბინა, ნატარა სკამზე დაჯდა და თითებგაფარსული მიეფიცა.

ბებომ სხვა საქმე წამოიწყო. გუგული კაბა, ფანჯარასთან დიდი სკამი მიიტანა, შედ მოკლათდა და ბაღში დაიწყო უერება.

ბაღში კვლავ ჩამიწევი არ ისმთდა, მხო-ლოდ ნისლი მოპრაობდა ქვემოთ, ხეების კენწურთებზე, ფანჯრის მახლობლად კი ჩაიფარფატებდა თითქოსდა დაკარგული თოვლის ფიფი.

მერე ბელურები გამოჩნდნენ, ბელურებს ორი წიწვივა მოჰქვა, დასხდნენ ხეებზე, დანივეს ეივჭივი და წიწვივი, სასლისკენ იუერებოდნენ, უთოოდ ამას კითხულობდ-ნენ,—რა არის ეს, რას გვიქვითო! ბო-ლოს ბელურებმა გაბედეს, გვერდგვერდზე სკუბ-სკუბით, აქეთ-იქით უერებით მივიდნენ ნაფოტთან, ჩაუნისკარტეს ფაფას, ეამათ, მიაცხრნენ. ცოტა სნით უკან გამოვიდოდ-ნენ, თავს შაღლა ასწევდნენ, კისერს შეა-ტოკებდნენ, მერე ისევ კენკავდნენ, ხარობ-დნენ, ფრთებს ათასთახებდნენ. ჭამდნენ წიფ-წიფებიც, ბოლოცეცხლაც. მოვიდნენ სკინ-ჩებიც, მოჭახჭახსდა მაშვიც. სწრაფად დანაუ-რებელი ბოლოცეცხლა გვერდზე გავიდა, თავი გადასწია და დაუსტვინა და დაუსტვი-ნა სასიამოვნოდ.

სასკეპარწეინებული გუგული ხელებით და ცხვირით ეო მიკრული ფანჯარაზე.

ბებო ამბობდა:—ჩიტებს ფაფას იმიტომ ვუკეთებთ, საფხულში ჭირნახული არ გაგ-ვიფუჭონო.

გუგულის სჯეროდა. აბა, ბებო ტუეილს რომ არ იტყოდა! მხერამ გუგულისთვის ეს ჩიტოფაფობა სხვა რამეც ეო,—თითქოს

ძალიან კარგი წიგნი წააკითხოს, თითქოს ძალიან კარგი, წუნარი მუსიკა მოესმინოს. მთელ დღეს ოდნავ ნაღვლიან და მანაც სანატრელ სანიათხე იყო.

ღამით კი, როცა დაწვა და დაიძინა, სისმარში, — მოფრინდნენ ბავშვისთვალეობანი დიდი, ღამაზი ფრინველები, თითქოს ბუები, თითქოს თუთიუშები, დასხდნენ სახლის წინ ალუბლის წვრილ, დაღუნულ ტოტებსზე, ისხდნენ, იუურებოდნენ იმ საოცრად კეთილი სვედიანი თვალებით და გუგული უცვებ მიხვდა, რომ თვითონაც ფრინველი იყო, თვითონაც ისეთი თვალები ჰქონდა, როგორც იმ ბუებს თუ თუთიუშებს, თვითონაც წვრილ, დაღუნულ ტოტზე იჯდა და

ის ტოტი ნელ-ნელა ქანაობდა მისი ხიძი მისაცან. შეეშინდა, ტოტი არ მოსტყვოდა, ასწია შეკლავეები, შეკლავეები კი არა, და გაეღვიძა.

ოთახში ბნელოდა, ძალიან ბნელოდა. წინაურბ საბანი თავსზე, ისევ იმ ფრინველებს მიაშურა ფიქრით, მაგრამ ფრინველები გამქრალდოვნენ. მამინ ტირილი მოუნდა და იტირა კიდეც, ოღონდ ჩუქად, — მამა შინ იყო და მამისა ვერიდებოდა.

მეორე დღიდან კი სულ გარეთ იწევდა, თუ არ უშვებდნენ ბრახობდა, ძალით გარბოდა, ჩადიოდა ბაღში, სვეებსა და ცას მიშტურებულ იღვა და ვიდაცვებს თუ რაღაცეებს ელოდა ძაღლიდან.

გაზაფხული მოზრძანდება

ავთანდილ გურგენიძე

გარბის ყინვა,
გარბის თოვლი—
მზის სხივებით დაბაფრული...
კი არ მოდის,
მოზრძანდება
საცყვარელი გაზაფხული.

მოზრძანდება
გადახატულ
მინდვრებით და ქუჩებითა,
სამ თვეს უნდა იმუშაოს
უზრდავი ფუნჯებითა.

სიხარული,
სიყვარული
ღანქერივით მოძაღვება...
გზა დაუთმეთ,
გაზაფხული
კი არ მოდის—
მოზრძანდება!



ნახატი გიორგი როინიშვილისა



ოქტომბრელებო! დღეს მკერდზე ოქტომბრელთა წითელი ვარსკვლავი გიბნივით. მალე პიონერები გახდებით და ალისფერ უღვსავლეს ვაიკეთებთ. გვაე წლები და კომკავშირელთა რიგებში შეხვალთ. კომკავშირელი — პატიოსანი, ბეჯითი და თავისი ქვეყნის ერთგულია.

ჩვენი სახელოვანი კომკავშირი ახლა 60 წლისაა.

პირველი ქართველი კომკავშირელი ბორის ძნელაძე იყო. მაშინ ჩვენი ქვეყანა ათასგვარ შინაურსა და გარეულ მტერს ებრძოდა.

ბორის ძნელაძემ კომკავშირში გააერთიანა ქართველი ახალგაზრდობა და ოქტომბრის მონაპოვრის დასაცავად დარაზმა. კომკავშირელები უფროსებს მხარში ამოუდგნენ: აშენებდნენ ელექტროსადგურებს, რკინიგზებს, ფაბრიკა-ქარხნებს, სკოლებს, მუშაობდნენ შახტებში, ამზადებდნენ ხე-ტყეს.

პირველმა კომკავშირელებმა — ბორის ძნელაძემ და მისმა თანამებრძოლებმა — ღირსეულად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე.

ბორის ძნელაძე

გიორგი ნახუცრიშვილი

ბორის ძნელაძეს მენშევიკები დასაჭერად დასდევდნენ. იცოდნენ, რომ ქალაქებსა და სოფლებში დადიოდა და ახალგაზრდობას მშრომელი ხალხის მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა. მაგრამ მისი დაჭერა არც ისე იოლი გახლდათ: ბორის ბევრი მეგობარი ჰყავდა. ისინი წინდაწინვე ატყობინებდნენ საფრთხის მოახლოებას და

თვითონაც გამხდები და მოხერხებული იყო.

ერთხელ ახალგაზრდა კომკავშირელებს სოფელში საიღუმლო შეკრება ჰქონდათ. იმსჯელეს, ილაპარაკეს, შეადგინეს მომავალი ბრძოლის გეგმა და შინ წასვლა დააპირეს. უცებ გუშავი მოიჭრა და აცნობა: — გვარდიელებმა ალყა შემოგვარტყეს და საცაა, სახლშიც შემოიჭრებიანო.

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, — წამოიძახა ბორისმა, — თქვენ წადით, მე აქ დავრჩები!

— რას ამბობ, ბორის? რომ მოგისწრონ, ხომ დაგიჭერენ!

— ვერ დამიჭერენ, აბა, ლაპარაკის დრო

არ არის, ახლავე წადით!

კომკავშირელები მიხვდნენ, რომ ბორისმა რაღაც მოიფიქრა და საჩქაროდ გავიდნენ.

ბორისი მარტო დარჩა. გამოსწია უჯრა, ვადაარჩია ქაღალდები, ნაწილი უბეში ჩაიტენა, ნაწილი ხელში დაიკურა; მერე მოიხსნა სათვალე, ჯიბეში ჩაიღო, რევოლვერი მოიმარჯვა და ისეთი განრისხებული სახე მიიღო, თითქოს ეს-ეს არის ოთახში შემოვიდა და ვიღაცას ეძებსო.

იმავე წუთს გაიღო კარი და ოთახში გვარდიელები შემოიჭრნენ:

— სადა ხართ აქამდე! — უყვირა ოფიცერს ბორისმა, — თქვენს მოსვლამდე საბუთების გადამაღვა და გაპარვა მოუსწრიათ. აი, ესღა

დარჩენიათ მხოლოდ... — და ხელში ჩაბოლქული ჯული ქაღალდები აჩვენა.

ოფიცერი დაიბნა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე? მე თბილისიდან გამომგზავნეს საგანგებოდ. პირდაპირ სადგურიდან მოვედი. თქვენი იმედი როგორ გვექონდეს?! განხრიკეთ აქაურობა! ამ ქაღალდებს კი მე წავიღებ და უფროსთან დაგიხვდებით.

ბორისი საჩქაროდ გავიდა ოთახიდან. გვარდიელებმა განხრიკეს სახლი, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. უფროსთან რომ მივიდნენ და „თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსული კაცი“ ვერ ნახეს, მაშინ კი მიხვდნენ, როგორ გააკურა ისინი ბორის ძნელადმე.



გურამ ვარაზანაშვილი

ერთ დღიას ზურიკოს დედასთან სალომე მივიდა და ბური სთხოვა,—მასესხეო. თან მოიჩინვილა:—რა ვქნა, ავად გავხდი და ფიჩხი ველარ მოვიტანე თონის ვასახურებლადო.

სალომე ბებია მარტონელა ქალი იყო. ერთადერთი ვაჟიშვილი ომში დაკარგვოდა. რძალი და შვილიშვილები კი ქალაქში ცხოვრობდნენ და ხშირად ვერ ნახულობდნენ მოხუცს.

ზურიკო და გაგა იქვე ისხდნენ და საკუთარი ყურით მოისმინეს დედაბრის ჩივილი. მოხუცი რომ წავიდა, ზურიკომ პაპისეული წალი გაამოიტანა, პირი ქვაზე აუღესა და ჭიშკრისაკენ გასწია.

— სად მიდიხარ? — უკან დაედევნა გაგა.

— ფიჩხის მოსატანად, — მიუგო ზურიკომ, — სალომე ბებიას ჩამოვუტან. ხომ გაიგე, უფიჩხოვდოთნე ვერ გაუხურებია.

— მეც წამოვალ, — უყოყმანოდ შესთავაზა გაგამ და ორივემ ერთად გასწია სოფლის თავზე ამართულ მთისაკენ.

მთა ხშირ ტყეს დაეფარა; ვეება ხეები მძლავრად ჩასჭიდებოდნენ მიწის ფესვებით, პაერში ტოტები გაეშალათ და მდუმარედ შეპყურებდნენ ცარგვალს.

ბიჭები აქამდე მარტო არასოდეს ყოფილან ტყეში და ახლა შემკრთალები იყურებოდნენ აქეთ-იქით. ფრინველის სტვენაზე ან უეცარ შეფართხალებაზე ერთმანეთს ეკვროდნენ. გაფართოებული თვალებით მისჩერებოდნენ ყოველ საექვო ხესა თუ ბუჩქს. მხოლოდ დაბლა, ღელეში მოჩხრიალე ნაკადული არღვევდა ირგვლივ გამეფებულ მდუმარებას.

ბიჭები შეჩერდნენ, შორს წასვლისა ეზინოდათ. უკვე აღარ მოჩანდა სოფელი, ზეცაც, ერთმანეთში ჩახლართული ტოტების მიღმა, ნაკუწნაკუწად ჩანდა.

— აქ მოვჭრათ, — თქვა ზურიკომ და წალი ამონაყარს უმარჯვა, დარტყმის ხმა შორს გაისმა, ამ ხმამ თითქოს ორივეს ძალა და მხნეობა შემატა. ზურიკო ჭრიდა, გაგა კი ერთ ადგილზე აგროვებდა. ისე გაერთნენ საქმიანობით,



შიში სულ გადაავიწყდათ.

უეცრად რალაც შრიალი და ხმელი ტოტების ლაწალაუწი ატყდა. მალე გოლიათი კაცი გამოჩნდა. გოლიათს თავზე ნაბდის ბატარა ქუდი წამოეკოსებინა, მხარზე ორლულიანი თოფი პირდაღმა გადაეკიდა, მარცხენა ლოყაზე ღრმა ნაიარევი აჩნდა, ხოლო ქუდზე—ტყისმცველის ოქროსფერი ნიშანი უელავდა.

— გამარჯობათ, ოჯახიშვილებო! — დაიქუხა კაცმა.

ბიჭებმა უხმოდ დაუქნიეს თავები.

— აქ რას აკეთებთ?

— ჩვენ ფიჩხს... ერთი კონა ფიჩხი გვინდა, — ძლივს ამოღერდა გაგამ.

— ფიჩხი?

— ჰო, სალომე ბებიას უნდა ჩავუტანოთ. უფიჩხოდ თონე ვერ გაუზურებია! — გული მოეცა ზურიკოს.

— საწყალი დედაბერი, — ჩაილაპარაკა კაცმა სეველიანი ხმით, — მეც რომ გადამაგიწყდა! — ზურიკოს წალდი გამოართვა, ფხა მოუსინჯა, — მომყვიითო, — უთხრა ბიჭებს და ტყის სიღრმისკენ აიღო გეზი, თან ყმაწვილებს არიგებდა: — თონის გასახურებლად ყოველთვის მოინახება ხმელი ტოტები, თონეში ჩაყრის მეტი რომ აღარაფერი უნდა, აი, ნახეთ, რამდენი ყრია, — თქვა და ბავშვებს ერთ ვეება ხის ძირას დაყრილ ხმელ ფიჩხზე მიუთითა. ხმელ ჩინჩვრებს დასწვდა და ერთი ხელის მოსმით თითქმის ნახევარი კონა ფიჩხი მოაგროვა, მერე ერთი-ორჯერ ისევ დასწვდა და ფიჩხიც მოაგროვდა.

ბიჭები განცვიფრებით შესცქეროდნენ, როგორ იოლად ხლეჩდა, სხეპავდა, ლეწავდა და ერთად აწყობდა ხმელ ტოტებს ტყისმცველი.

დეკაცმა დაღვლერჭილი წნელით მკვიდრად შეკრა ტოტები, მერე ხელის წასავლები ყულფიც გაუკეთა.

— აბა, წადით ახლა და, მეორედ მარტონი აღარ ამოხვიდეთ. სალომე ბებიას კი გადაეცითონურას ინაღვლებს, ყოველ კვირა ჩავუტან თითო კონა ფიჩხს...

ზურიკომ და გაგამ ყულფს ხელი ჩაპკიდეს და თავდაღმართზე ჩაათრიეს.

ტყისმცველი გაღიმებული იდგა და ბიჭებს უყურებდა.



ნახატები ვახტანგ გულისაფრისა

ათული და ბათული

ბ. გოგიაშვილი

ზ ლ ა პ ა რ ი

სოფლის ტყეში ცხოვრობდა
გოლიათი დათუნი,
ჭუავდა ორი ბელიკო:
ათული და ბათული.
ჭიდაობა უყვარდათ,
სარმით იყვნენ გართული,
ხან ათული აქცევდა
და ხან კიდევ—ბათული.
როცა დანაურდებოდნენ,
ღლაბუცობდნენ მდელოზე,
თათებგადახვეული
მღეროდნენ და მღეროდნენ:
— აბლი, ბაბლი,
აბლი, ბაბლი,
გვიყვარს თხილი,
პანტა, წაბლი,

ჭეი!

აბლი, ბაბლი,
აბლი, ბაბლი,
თაფლი გვინდა,
თაფლი, თაფლი,

ჭეი!

სახლი ედგათ ლამაზი
ცაცხვისა და მუხისა,
ტუის მცხოვრებნი დათუნებს
ახსენებდნენ უღირსად.
იმიტომ რომ წუწკები
დაეჩვივნენ ქურდობას,
დაძვრებოდნენ ბაღებში
და სადაც კი უნდოდათ:—
აჯავრებდნენ მეზობლებს,
აჯავრებდნენ დედიკოს,
მშობლის გულისტკივილი
მუდამ მხოლოდ ეს იყო:
— წერა-კითხვა არ იცით,
ფუ, ეშმაკმა დაგლაზვროთ,
ასჯერ მაინც ვითხარით,—

ასანთს თათი არ ახლოთ!
სწავლა-სრომა არ გაყვართ,
მარჯვენი ხართ ჭიმაში,
ალარ ვნახო დღეიდან
ამ სახანთით თამაში!“
იდგნენ გასუსულები
ათული და ბათული,
დედას უურს არ უგდებდნენ,
ფიქრით იყვნენ გართული.
შემოდგომა მოვიდა,
ტყემ დაიწყო ჩურჩული
და მოსავლით აივსო
ბელის ყველა კუნჭული.
რას ინატრებ უკეთესს;
ჩაიშაქრა უურძენი,
ღამით ხანსლავს მელია,
დღისით—ფრთხილი უურგრძელი.
— გამიგონე, ძამიკო,—
ბელმა უთხრა ბელიკოს,—
თაფლისათვის წავიდა,
ჯერ არ მოვა დედიკო!
ალარ მინდა, გვეყოფა
კოტრიალი, თამაში,

წამო, ჩუმად გადავფრტო
მეზობლების ყინაწიკს,
რადგან არასმეტყველებს
ძუნწები და ოხრები,
მოვიპაროთ სიმინდი,
მოვიპაროთ გოგრები!
— რა კარგია!—წავიდნენ,
თან წაიღეს გოდრები...
ყანას მიუახლოვდნენ
ათული და ბათული,
მურიკელა არ ჩანდა,
ძილით იყო გართული.
შეიპარნენ ყანაში,
ღობე გადმოანგრის
და რძიანი სიმინდი
ამტვრიეს და ამტვრიეს.
მოაგროვეს გოგრები...
ამოავსეს გოდრები...
მოიკიდეს ზურგზე და
გზას გაუდგნენ შინისკენ,
მელაკუდა შემოხვდათ
ღელის პირას ბილიკზე.



ნახატი სოფიო კინწურაშვილისა



ვერც უკან, ვერც წინ მიდის,
ვიღას ახსოვს გოგრა და
ვიღას ახსოვს სიმინდი,
კვლავ დაჰბერა ქარმა და
აეღვივრდა ბუხარი,
ჭილოფს ცეცხლი მოედო,
გადმოიქცა მდღლარე.
— ხანძარია!.. გვიშველეთ!—
გაჰყვირიან ბელები,
გამორბიან ხანძრისკენ
ტყის ერთგული მცველები.
— წყალი, წყალი!—ყვირიან,
არ ჩანს რაზეში სახანძრო.
— სულ ამითი ბრალია,
ტყავი უნდა გავაძროთ!—
გაჰყვიროდა ციყვენი,
ურიადი წყალს აწვდიდა,
კენგურუ ცეცხლს აქრობდა,
წყალს ასხამდა ჩანთიდან.
შეიყარა მთელი ტყე,
ავუგუნდა ცხრა ზარი,
როგორც იქნა გამოჩნდა
სპილო უზარმაზარი.
ტუმბოს—ხოროთუმს დასაქმა,
ტყემ დაიწყო ზანზარი,
ღელე სულ მთლად დააშრო
და ჩააქრო ხანძარი.
ჩაიფრფულა გოდრები,
სიმინდიც და გოგარებიც.
ბოლოს დედაც მოვიდა,
ისევ ბოლავს ხანძარი,
სახლის ნაცვლად რას ხედავს?
ფერფლია და ნაცარი...
ათული და ბათული
დგანან, მწიარედ მოთქვამენ,
ეს რა ჩაიდინეს,—
ყველა ტუქსავს ორთავებს.
ბათუმ ცხვირი დაიწვა,
ათუც თათებს უუფრებს,
სიმწრისხაცან ხან ერთი,
ხან—მეორე ბურღლუნებს!
დღეობს დღეობილი დათუნა
ბელებისკენ წავიდა:
„რაც მოგივა დავითა,
ყველა შენი თავითა“.

— გამარჯობათ, ბელებო!
ეს რა ბედი გწევიათ,
როგორც ვხედავ, ეს უანა
ადრე მოგიწევიათ!
აღარა გაქვთ სირცხვილი!—
მელა კვდება სიცილით...
— ნეტავი შენ ვინ გკითხავს,
წუწყო, ქათმისპარია,
როდის დაგიტესია,
როდის დაგიბარია.
გაგვიცალე!—უთხრეს და
გზა განაგრძეს ბელებმა...
— ბიჭოს, ეს რა მაკადრეს
ამ არგასაწრდელებმა!—
თქვა მელამ და თვალები
მიმოავლო გარშემო:
— კიდევ კარგი, საქმელი
არა ჰქონდათ საჩემო!—
ამოვარდა ქარი და
შეიცვალა ამინდი,
იხარშება გოგრა და
იხარშება სიმინდი.

ისვრის წვრილ-წვრილ
ნაპერწყალებს
მოგუზგუზე ბუხარი,
როდის ახვარხვალდება
ქვაბი ახადლარი.
გაწოლილან ჭილოფზე
ათული და ბათული,
ქერზე ბუზებს უცქერენ,
თვლით არიან გართული.
და ერთ წუთში ბუხართან
საქმე მოხდა ამგვარი;
მუგუზალმა ფიცარიზე
მოაღინა ბრავანი!
ათუმ უთხრა ბათულის,
— ადე, ცეცხლს მიხედეთო,
— დაღლილი ვარ ძალიან
ვერ ავდგები ფეხზეო...
— ჩქარა, ჩქარა, აიღე...
— არა, შენ აიღეო,
რა მშიშარა ყოფილხარ,
რა სულ უკან იხევო!—
ბიჭოს აღი!.. ათული

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
სამეცნიერო ცენტრი
თბილისი



ი ბ ბ ი

ენის გავარსების

სახეები განაწარმნის მორჩილებას

ორლობის თავში ბექობზე გაბაფხულობით იები ქუჩბად ამოდის ხლმე. ჯერ მომწვანო-მაცყვითაღო პრიადა ფოთლები ამოხუხუხედა, მერე წერობივით მაღალი წვრილღერობიანი კაკრები ამოიწვერებიან და გადაშლიან პაწაწინა ფურცლებს, იტყვი—სუყვედამ ერთად გაიციინაო.

მზიან დღეს ბექობის მანლობად იის საამუერი სურნელი დგება. თუ ვინმე ორლობეში აივლის ან ჩაივლის, უსათუოდ შედგება, ბექობისკენ გაიხედავს და სიამოვნებით იტყვის: „ღმერთო ჩემო, რა მშვენიერებაა! ნეტავ, როგორ ამოვიდა ეს იები ასე ქუჩბადაო“.

ასეა მუდამ. ყოველ გაბაფხულს ოლობის ძირებს მხოლოდ ქინკარი, ბარამბო და რალაც ბადაბბუღახი მოვდება ხლმე. იქვე პატარა ბექობზე კი

ია გადაპენტიდა ღურჯად. მაგრამ არავინ არ იცის, არც დიდმა, არც პატარამ, რად არის ვგრე ქუჩბად მოსული ია იმ ბექობზე. საღამოობით ვენახიდან მხარზე თხსგადებულ შავგვრემანი კაცი რომ ამოივრის ხლმე, იმან კი იცის, ახსოვს ყვედაფერი. მაშინ მთად პატარა, მზეზე გახუხული ბიჭი იყო. მოკლე შარვლი ვცვა და ეზოში თავისი ხელით გაკეთებულ ხის ურემს დათრევადა. რა დაავიწყებს, ერთხელ—დიდი, შავი ღრუბელი გამოჩნდა. დაიქუხა, ქარი ამოვარდა და წვიმამ დაუშვა.

ეზოში მოთამაშე ბალები სახლებისაკენ გაიქცნენ.

სარკმლებთან დახდნენ და იქიდან იყურებოდნენ გარეთ. გარეთ კი თითქოს ქვეყანა იქცეოდა, ქარი ხის ტოტებს მიწამდე სცემდა, წვიმა

შხლირით ასხამდა. აღარ გაიჩრქოდა სად ცა იყო, სად—ხმეფეთი. კარგა ხანს იქრლდა ქარმა, იშხაპუნა წვიმამ და გადაილო. ყველაფერი დაწყნარდა, დაცხრა, მხოლოდ ნაკადულებილა მოჩხრიალებდნენ აურხაურით. ბაღლები ისევ გამოიშადნენ ეზოში. ნაკადულებს ჯოხებით ურუებდნენ, ზედ ბოგორებს აგებდნენ, ქუყმპაღაობდნენ, წუწაობდნენ. იმათი მხიარული ყვირინა მოსდებოდა იქაურობას. უცბად ერთმა პატარა გოგომ კივილი გააბა:

— რა მოხვლია საცოდავს, რა მოხვლია!

ეზოში მოთამაშე ბავშვები ერთიანად მიხროვდნენ ბექობთან.

პატარა გოგონას ხელები ღოყვებზე მიეღო და ოდნავ წახრილი ღობის ძირას მინაშულ ჩიტუნას ჩაჰყურებდა.

ჩიტი მთლად შდამში იყო გახვეული, მხოლოდ თავი მოუჩანდა. გვერდზე მიეღო, ნისკარტი ოდნავ ზემოთ აეწია და თვალები დაეხუჭა, თითქოს სძინავსო.

— დამხრჩვალა?— შეეკითხნენ ბაღლები გოგონას. თან კისრები წაიგრძელეს და თვალები დაანათეს ჩიტუნას.

— დამხრჩვალა...

პატარები გაჩუმდნენ. შეწყდა ყრიაშული, გნიასი. შულბშეჭმუნნილები და ტუჩებმოკუშულები თვალს აღარ აშორებდნენ ჩიტს.

— წვიმა დაახრჩობდა,— დაიურჩულა ვილაკამ.

— აღბათ ქარმა ვადმოაგლო ბუდიდან,— თქვეს დანარჩენებმა და იქვე მდგარ ხეებს შეხედეს,

თითქოს ბუდეს ეძებდნენ.

— აქ ბუდე არ ყოფილა,— აუხსნა პატარებს შავგვერემანმა ბიჭმა,— ვინ იცის, წყალში სარდან ჩამოიტანა.

დანაღვრიანებულმა ბავშვებმა კიდევ კარგა ხანს უყურეს ჩიტუნას. ხან რა თქვეს, ხან— რა და, აქეთ— იქით გაიფანტნენ. ცოტა ხნის მერე ისევ მოვიდნენ. თან წვიმისაგან დაკამკამებული ბღაბი მოიტანეს. დაქუყმინტეს, დააქუცმაცეს და ჩიტს ზედ გადააყარეს. მაღე ღობის ძირას მწვანე პატარა ბორცვი გამოჩნდა. ბავშვები ახლა სახლის უკანა მიწვერისაკენ გაიქცნენ. გოგონებმა ბუჩქის ძირებში უკვე აკოკრებული ქაღალის იები დაგიოჯეს, მოიტანეს და მწვანე ბორცვს გარშემო დაურგეს. შავგვერემანმა ბიჭუნამ კი წნელით ტყრულული ღობე შემოაგდო, რომ ქათმებს არ გადაეჭქვათ.

თავს დასტრიალებდნენ იებს პატარები. თვლა არ ჰქონდა, დღეში რამდენჯერ რწყავდნენ. ორლობეში წყალს რომ ამოატარებდნენ, აუცილებლად შედგებოდნენ ბექობთან, ჯერ მუჭში რუკრუკით ჩაისხამდნენ წყალს ჰინჭილიდან ან კოკურიდან და მერე იებს დააწკაპუნებდნენ.

იხარეს იებმა, ბორჯი გაიღგეს, გამრავდნენ. ის ბავშვებიც დაიბარდნენ, თავთავიანთ გზაზე წავიდნენ. ახლა იმ პაწაწინა მწვანე ბორცვისა და თნილის წნელით შემოვლებული ღობის ნასახიცი აღარა ჩანს.

ბექობი კი ისევ იქვეა. გაბაფხულობით იქ ია ამოხუჩხუჩვება ხოლმე და ორლობეში საამური სურნელი დგება...



დიდა საბავშვო ბაღში

მზია ჩხაბიანი

სწორდით! სმენა!
ერთი! ორი!
გაჭიმულნი ვდგავართ რიგში...
გაგვაკაჟებს ყოველ დღით—
რბენა,
ხტომა,
ტანვარჯიში!
გოგონები,
ბიჭუნები
მოგაბიჯებთ მწკრივში წყვილად,
ისე კოხტად,
ჩიტუნებიც
ჩვენს საცქერად მოფრენილან!
მუსიკის ხმა ავსებს დიდას,
მზეც მლერის და
ღრუბლის ფთილაც.
ერთი-ორი,
ერთი-ორი,
ცოცხლად!
ნაბიჯაწყობილად!



გენასკალა

ნოდარ შამანაძე

საქართველოს
განათლების
მინისტრის
გამგეობის
გამართავი
ცენტრი

მთაო, მთაო, გენაცვალე,
მთაო მწვერვლიანო.

კლდეო, კლდეო, გენაცვალე,
კლდეო ჩანჩქერიანო.

წუალო, წუალო, გენაცვალე,
წუალო ნაზირიანო.

ბაღ-ვეინასო გენაცვალე,
ბაღ-ვეინასო მზიანო,

საქართველოო, გენაცვალე,
უკვდავ შვილებიანო.



მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასს,
სიცივეს კაცი მოუკლავს,
საწუალი აგერ გორავსა.

* * *

თებერვალი დადგბო,
სეში წუალი ჩადგბო,
ჩიტმა ჩიორამბო
სამირკველი გადგბო.

ნახატი ზაურ ღვისაძისა

ხალხური



იამზის ზღაპარი

პაპაი გუფაძე

ნახატი მანანა მორჩილაძისა

მე იამზე მქვია. თუ რატომ დამარქვეს ეს სახელი, ამაზე ბებია თაფლომ ზღაპარი მიაშპო:

დათოვლილ ტყეში მოღონიერებულმა მზემ ჩამოიხედა და სხივების თითებით თოვლი გაჩხრიკა. სულ ერთი გოგა მიწა გამოჩნდა. მიწიდან თავი ნელა წამოყო მორცხვმა, სათნოდ უელმოღერილმა ლურჯთვალა იამ.

დაინახა თუ არა ზამთარმა, შეშინდა და აცახცახდა, თოვლი შეირხა, თითქოს ბარბაცი დაიწყოს, დაფრთხა და მთას მიაშურა. დაღლილმა იქ ცოტახნით სული მოითქვა და მწვერვალზე ავიდა. მერე იამ მწვერვალსაც ახედა და წელმოწყვეტილი თოვლი თეთრ ღრუბლებად აიზღაზნა იისფერ ცაში.

თეთრმა ღრუბელმა ერთხანს იას ცალკუბა ღმირილი უცქირა, მერე თავისმა სიხმდალემ გააბრაზა: ამ პატარა, სუსტმა უვადილმა როგორ შე-

მაშინაო, გული გაიშავა და წარბი შეიკრა. ატრდა და ტირილი კარგა ხანს ველარ შეიკავა. სადაც მისი ცრემლი დაეცა,—უველგან უვადილი ამოვიდა.

ერთმა პატარა ლურჯთვალა იამ ასე აჯობა დიდ ზამთარს და უვადილებად აქცია თოვლი.

თუმცა ეს პატარა იამ მარტო როგორ აჯობებდა იმ დიდ და ცივ ზამთარს! ვერც ასე მამაცურად მოიქცეოდა, მზეც რომ არ მოშველებოდა. იამ და მზემ ერთად დაამარცხეს ზამთარი.

ბებია მ ზღაპარი რომ დაამთავრა, მითხრა:

— შენც გაზაფხულზე გაჩნდი, ჰოდა, იმ ლურჯთვალა იასა და კეთილი მზის მეგობრობის ნიშნად იამზე დაგარქვითო.

ამიტომ ძალიან მიუყვარს ჩემი სახელიც და იამზის ზღაპარიც.

მეტრო

შალვა შუბლაძე

მეტროს ვაძობო,
თორემ ისე
მიწისქვეშა ქალაქია,
კაცმა რომ თქვას, საამისოდ
არაფერიც არ აკლია.
ნეტავ მეტრო მე რომ მიუვარს,
სხვას თუ უუვარს ისე ვინმეს?
მაურიანს ჩაუშვებ და
სადაც მინდა—ვისეირნებ.



საქართველო
გრაფიკული
ხელოვნება

ნახატი თამაზ ხუციშვილისა



ყორანი

(ენის ვახატეხი)

ზონდო მუშაობა

ღანღანებენ ბელტები —
ნაწვიმ-ნატრატორალი,
დადურანტალებს უნაში
უიამურალი ეორანი.

თავსკუხე

ქ	მ	ჩ	ი				
ყ	ვ	ა	ვ	ი			
		ძ	შ	ჩ	ა		
		ა	ჩ	წ	ი	ვ	ი
ქ	ლ	ჩ	ი				
			ა				

ქაუბი

ტაბუ მუშაობა

ცხენჯოხებზე ამხედრდენ
ზურაბი და თანდილა,
ცეროდენა თანდილას
ზურა უსწრებს ადვილად.

თან უმცროს ძმას აჯავრებს:

— ჩემს ცხენს არ მკუას ბადალი,
ჩემი მიქრის ქარივით,
შენი მოლის ბანდალით. —

ძმას ვასძახა თანდილამ:

გააჩუმე ენაო,
შენი ცხენი კი არა,
თავად მისწრებ შენაო.



შეასეთ ცარიელი უჯრედები მტაცებელი ფრინველების სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოს სიტყვა—იგერია.

შეადგინა ქ. ქობულეთის საშ. სკოლის მოსწავლემ დენის კალანდაძემ.

გაზაფხული

გურამ ორჯონიძეძე

ბერძენი, — ფესვებმაგარო,
 იცი, რა უნდა გახარო?
 დღე-ღამე მოველით გაზაფხულს,
 აჩუჩუხდება ცხრა წყარო, —
 ჩვენი სამშობლოს მშვენიერებით
 მოხიბლულია სამყარო.



გაქოქაქა





თეთრი სხული, შავი თესლი,
 თესლი შეესვენს კუბნება.

ხალხური

გააკეთე ფოთლებიდან




ჩაქუსი

“ 3 ” “  ” “  ” “  ” “  ”

660/32

საქართველო
განათლების
მინისტროს
გამომცემლობა

იოვანი ატიო ზონის ბურთები და რგოლები



ნახატი მიხეილ სოლოვიოვისა

საქ. კბ ცკ-ის
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии

შთავარი რედაქტორი მახანან მახანანიაძე

სარედაქციო კოლეჯია: ანდრო ბაბულაშვილი, ელზარე ანდოკაძე, კეკელი მონიშვილი, ლიდა მრამე, მახალა მდივლიშვილი, ჯიშვირ მუჭირი, ვიორგი რონიშვილი (საგ. რედაქტორი), იორგი მხიბრბელიძე (პ/მე, მდივანი) რედაქტორ ლარინაშვილი, ვივი მხილბაძე

საქ. ალექ ცკ-ისა და გ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ფუნქციონირებაზე ნახატი მახანან მახანანიაძესა და გ. მ. ცეციას 51-ე წელს.

ტიქრედაქტორი მელი წინათმული

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ. 80. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15, პ/მე მდივანის — 93-10-32, 93-98-17; საგ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივანოსი — 93-98-16.

გაღვიძე ასაწუობად 18/Х1-77 წ., ხელმოწერალოცა დასაბეჭდად 20/Х11-77 წ., ქაღალდის ზომა 60×90სმ, ფხვ. ნაბ. ფურც. 32, ტირაჟი 157.000. ზეტი. № 8435. „დიამ“ № 2. ნა გრუზინსკომ აზყკე. ფხვი 20 კაპ.